ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 მარტი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 42 (10 211) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



გუშინ, სალამოს გაიმართა ფინალური შეხვედრები, 65, 71 და 78 კგ. წონითს კატეგორიებში.

65 კგ. წონაში ქვეყნის წლევანდელმა ჩემპიონმა თბილისელმა გურამ მოდებაძემ გადამწყვეტ შერკინებაში დაამარცხა თანაგუნდელი გია ხოსიტაშვილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა გერასიმე ხაბულიანმა.

ქართული ფინალი შედგა 71 კგ. წონაშიც, დუშელმა ბათო ჯიქურმა ხძლია ზურაბ ონიანს და ისიც ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

78 კგ. წონითს კატეგორიაში ჩვენს მოვიდავეებს საპრიზო ადგილები არ დაუკავებიათ, ჩემპიონი გახდა ამერიკელი მორის იასონი, რომელმაც ალგიმანტას მარკიავიჩუსს (სსრკ) ხძლია.

ხურათზე: ბათო ჯიქური.

ორი ქართული ფინალი

როგორც უკვე გაცნობეთ, ტურნირზე პირველი ოქროს მედალი დავით ხახალეიშვილმა მოიპოვა, რომელსაც გამარჯვება პირველმა მიულოცა მეტოქემ — აკაკი კიბორძალიძემ. აბა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა: ორივე ქუთაისელია („დინამო"), უკვე დიდი ხანია ერთად ვარჯიშობს ომარ მერაბიშვილის ჯგუფში, ოღონდ 28 წლის აკაკი 9 წლით უფროსია თანაგუნდელზე.

აკაკი კიბორძალიძემ უკვე ექვსჯერ გაიმარჯვა თბილისის საერთაშორისო ტურნირზე, ახლა კი შეეძლო თავისებური რეკორდსმენი გახდარიყო (6 მოგება აქვს რამაზ ხარშილაძესაც), მაგრამ მისი შეხვედრა დავით ხახალეიშვილთან, გარეგნულად მაინც, დიდი სიმწვავით არ გამოირჩეოდა. შერკინების მეხუთე წუთზე ახალგაზრდა ფალავანმა მარჯვედ შებოჭა გამოცდილი მეტოქე და წმინდა გამარჯვება მოიპოვა. სამოიოდე წელია, რაც დავით ხახალეიშვილი „დიდ არენაზე" გამოჩნდა და ვინც ძიუდოისტთა შეჯიბრებებს ადევნებს თვალს, დაგვიდასტურებს, როგორ განუხრელად და სწრაფად იზრდება ამ ნიჭიერი ათლეტის ოსტატობა. იგი, კიდევ ვიმეორებთ, 1971 წელს არის დაბადებული და სრული საფუძველი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ მას მთავარი გამარჯვებები წინ აქვს.

ხახალეიშვილთან დამარცხების შემდეგ კორეელმა გიგანტმა ხვანგ ჯო გილმა უფრო მარჯვედ გამოიყენა თავისი დიდი უპირატესობა წონაში და მესამე ადგილი დაიკავა. მეორე ბრინჯაოს მედალი უკრაინელ გენადი ერიომენკოს ერგო.

95 კგ წონაში, როგორც იცით, ფინალის საგზური 20 წლის ხაშურელმა ვეფხია კაპანაძემ („დინამო") და ანდრეი პოპოვმა (სსრკ) მოიპოვეს. პოპოვმა გამოცდილებით აჯობა ახალგაზრდა მეტოქეს და ორი შედეგიანი ილეთის (იუკო და კოკა) წყალობით დაამარცხა იგი. მაგრამ თვითონ ის ფაქტი, რომ მან ასეთი რანგის ტურნირის ფინალს მიაღწია, სრულიად საფუძვლიანად, დიდ წარმატებად უნდა ჩავუთვალოთ ხაშურელ მოჭიდავეს (მისი მწვრთნელია ანზორ მარტყოფლიშვილი).

ძალზე დაძაბული შეხვედრები გაიმართა ე. წ. „სანუგეშო ტურნირში" მესამე ადგილებისთვის. მაყურებელმა ტაშით დააჯილდოვა ფრანგი სტეფან ტრენო. მიუხედავად იმისა, რომ მან ჩვენი გუნდის წევრი, 18 წლის ვალერი კიბორძალიძე დაამარცხა. ეს ჯილდო, ბრინჯაოს მე-

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ჩვენს ეროვნულ მოძრაობაში ყველაფერი მნიშვნელოვანია. არ არსებობს მსხვილმან-წვრილმანი, ვისაც რა გვეხება და ვისაც რა შეგვიძლია, იმით უნდა შევეწიოთ საერთო საქმეს. ეს დღეს ყველას ერთნაირად მოეთხოვება და ევალება კიდეც.

რესპუბლიკის სპორტული მოძრაობა იბრუნებს საკუთარ. იერს, მიზნობრივად დგება ეროვნული ინტერესების სამსახურში. როგორც ვთქვით, თითოეულმა ჩვენგანმა, ყველა უწყებამ, ორგანიზაციამ და დაწესებულებამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ამ საქმეში. სხვადასხვა ასაკის ადამიანებს ყველგან უნდა შევუქმნათ ფიზკულტურახა და სპორტში ნორმალური მეცადინეობის პირობები, დავეხმაროთ მათ ჯანმრთელობის გაკაჟებაში.

დიდ სპორტში ერთი წუთითაც არ უნდა შეწყდეს ჩვენი რჩეული ახალგაზრდების დაოსტატება. სრულ სპორტულ სუვერენიტეტს მომზადებული და წელში გამართული უნდა შევხვდეთ.

რა მდგომარეობაა დღეს? „ლელოს" მეორე გვერდზე გამოქვეყნებული წერილები, ვფიქრობთ, დაინტერესებს და დაფიქრებს ჩვენს მკითხველებს.

თქვენთვის, ვაშლიჯვრელებო!

„შევარდენი" გამოგვეხმაურა

„თაოსნობა ვაშლიჯვრიდან იწყება" — ასეთი სათაურით 24 თებერვალს გამოქვეყნებული წერილით გაუწყეთ, რომ ამ დასახელების 118-ე საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის ხელმძღვანელობამ „ლელოს" რედაქციასთან ერთად წამოაყენა წინადადება, იმ საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე, სადაც საბინაო კანტორაა მოთავსებული, არასაცხოვრებელი ფართობის დიდი ნაწილი დაუთმონ სპორტულ დარბაზს და საჭადრაკო ოთახს. ამ იდეას მხარი დაუჭირა საბურთალოს რაიონის საბინაო ტრესტის მმართველმა კარლო ჩიხრაძემ, რის შემდეგაც საქმე პრაქტიკულად გადაწყდა კიდეც. მაგრამ... იმავე წერილში დაისვა საკითხი, თუ ვინ დაეხმარება თაოსნებს. დაასახელეს რამდენიმე ორგანიზაცია.

სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. შუბლაძემ გვაცნობა, რომ ამ დღეებში „შევარდენის" ხელმძღვანელობამ ადგილზე შეისწავლა 118-ე საბინაო კანტორისთვის დახმარების გაწევის შესაძლებლობა.

„შევარდენმა" ივალდებულა: შეადგინოს სათავსების სპორტულ დარბაზად გადაკეთების ტექნიკური დოკუმენტაცია, დაეხმაროს საბინაო კანტორას მის კეთილმოწყობაში, სპორტული დარბაზი და სპორტული მუშაობისთვის გამოყოფილი სათავსები უსასყიდლოდ აღჭურვოს ინვენტარითა და ტრენაჟორებით. შემდეგ იგი ვაშლიჯვარში მცხოვრები სუსტი ჯანმრთელობისა და სკოლიოზიანი ბავშვებისთვის, აგრეთვე ინვალიდებისთვის გახსნის სპეციალურ ჯგუფებს, გასამრჯელოს გადაუხდიან მწვრთნელებს, მეთოდისტებს და ა. შ. მადლობის მეტი რა გვეთქმის!

ერთად ვილვაწოთ!

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ეროვნულ სპორტის სახეობათა კომისიის მოღვაწეობა საზოგადოება „ცოდნასთან" აქტიური თანამშრომლობით დაიწყო. ახლახან პროფესორი ვ. ელაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი მიგვიწვიეს დუშეთის რაიონში. სპორტკომიტეტისა და „ცოდნის" რაიონულ ხელმძღვანელებთან ა. იორდანიშვილთან და ბ. არუთინოვთან ერთად ვეწვიეთ ჭართლისა და ფასანაურის საშუალო სკოლებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ვესაუბრეთ სპორტული თამაშების შესახებ. სხვათა შორის, მასპინძლებმა გვაცნობეს, რომ ზოგჯერ მათ სკოლებშიც ეწყობა შეჯიბრებები ამა თუ იმ ხალხურ სახეობაში, მაგრამ ამას ეპიზოდური ხასიათი აქვს.

ამ მიგლინების შესახებ ინფორმაციით გამოვედით სეოკ-ის რეგიონალური ჯგუფების ხელმძღვანელთა თათბირზე, რომლის მონაწილეებს ვთხოვეთ, ხელი შეეწყოთ ადგილებზე ეროვნული სპორტის სახეობების განვითარებისთვის.

სეოკ-ის ეროვნულ სპორტის სახეობათა კომისია თხოვნით მიმართავს ყველას, შეგვატყობინოს: რომელ რაიონში, ქალაქში, სოფელში იმართება ისეთი სახალხო ზეიმები, სადაც წარმოდგენილია ეროვნული სპორტის სახეობები; კონკრეტულად სად და როდის ეწყობა ეს ზეიმები, ვისი სახელობისაა, რომელ სახეობებში ტარდება შეჯიბრებები და ა. შ. ეს გვჭირდება ერთიანი სურათის წარმოსადგენად და დახმარების გასაწევად.

წერილები გამოგზავნეთ „ლელოს" რედაქციაში.

დავით კილასონია,
სეოკ-ის ეროვნულ სპორტის სახეობათა კომისიის თავმჯდომარე.

„დინამო" იუდ ყეგა...

რა მდგომარეობაა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში? ამ შეკითხვით მოგვმართავს გულშემატკივართა ერთი ნაწილი. საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობამ გვაცნობა, რომ საქართველოს ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაციის გადაწყვეტილების გარდა „დინამოს" ცხოვრებაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. კლუბის ხელმძღვანელობა კი აუწყებს საზოგადოებას, რომ გუნდის ფინანსური მეურნეობის განსამტკიცებლად საჭიროა მატერიალური დახმარება. დინამოელები ეძებენ სპონსორს — სახელმწიფო დაწესებულება იქნება ის, საზოგადოებრივი, კოოპერაციული ორგანიზაცია თუ კერძო პიროვნება. ანგარიშის ნომერია 000700574 (პირველი მაისის რაიონი, თბილისის ბინსოცბანკის განყოფილება). კლუბის საწევრო გადასახადია 12 მანეთი, მოზარდებისთვის — 2 მან. ადრე გაწევრიანებულთათვის უკვე მზადაა სამკერდე ნიშანი და 1989 წლის ბიულეტენი, რასაც კლუბის წევრები უფასოდ მიიღებენ ფასიან აბონემენტთან ერთად. დამატებითი ცნობებისთვის შეგიძლიათ დარეკოთ: 51-86-51, 51-87-09 ან 51-16-28.

ინფორმაცია

15 ათასი მაყურებელი, რომელთა შორის იყო ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი, ესწრებოდა საჩვენებელ მატჩს ოლიმპიურ ჩემპიონ მიროსლავ მეჩირეისა და ჩეხოსლოვაკიის ხაჩოგბურთო სკოლის სხვა აღზრდილს, მსოფლიოს პირველ ჩოგანს ივან ლენდლს შორის.

მატჩი მოიგო ლენდლმა — 6:4, 3:6, 6:2.

წავლენ საქართველოს წყალბურთელები ევროპის ჩემპიონატზე?

ეს თქვენზეა დამოკიდებული, სპონსორებო!

საქართველოს წყალბურთელ ქალთა გუნდი საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონია. ეს უკვე თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი გუნდი ანგარიშგასაწევი ძალაა დღეს არა მარტო მთელს კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ჩვენი წყალბურთელები მიწვეული არიან ევროპის თასის გათამაშებაზე. ეს შეჯიბრება მაისში ჩატარდება იტალიაში.

მაგრამ...

საქართველოს წარმომადგენელთა გაგზავნა იტალიაში სათუოა. გუნდს ჭირდება ვალუტა, დაახლოებით 3.000 დოლარი. გუნდი ეძებს სპონსორს. ვინ გაუწევს მას დახმარებას? გამოგვეხმაურეთ, ველით მხარდაჭერას. თქვენ ამით დააჩქარებთ ქართული სპორტის მიერ სრული სუვერენიტეტის მოპოვებას.

კვლავ 23 წლის შემდეგ

ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყება საერთაშორისო ტურნირი ძალოსნობაში — „მეგობრობის თასი"

„შტანგაზე 220 კილოგრამია! — აცხადებს დიქტორი. დარბაზში სამარისებური სიჩუმე გამეფებულა. ათასობით სულგანაბული მაყურებელი განათებულ ფიცარნაგს, შტანგასა და გოლიათური აღნაგობის ძალოსანს მისჩერებია. და აი, სპორტსმენი დინჯად მიდის შტანგასთან. სწვდება და მკერდამდე ააქვს იგი, წამიც და შტანგა მორჩილად „ასვენია" ვაჟკაცის აღმართულ მკლავებზე. დამყარდა მსოფლიოს რეკორდი აკვრაში! მაყურებელი აღელვებული ტოვებს თბილისის სპორტის სასახლეს..."

ეს ნაწყვეტი ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა 23 წლის წინ, 6 აპრილს. ამ წელს თბილისის სპორტის სასახლეში პირველად გაიმართა საერთაშორისო ტურნირი — „მეგობრობის თასი" (სხვათა შორის, ძალოსნობის საერთაშორისო ტურნირი 1958 წლიდან ტარდება. მას წინათ „მოსკოვის თასი" ერქვა და მხოლოდ მოსკოვში ტარდებოდა, 1966 წელს ეს ტრადიცია დაირღვა და ტურნირი რიგაში გაიმართა. აქვე გადაწყდა, რომ მას „მეგობრობის თასი" ეწოდებოდა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში გაიმართებოდა). მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა, და აი, ხვალ თბილისის სპორტის სასახლის თაღებქვეშ კვლავ შეიკრიბებიან „ძლიერნი ამა ქვეყნისა".

ამ დროის განმავლობაში ძალოსნობაში ბევრი რამ შეიცვალა, დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ კლასიკური სამჭიდიდან „ამოვარდა" აჭიმვა. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ წონას (220 კილოგრამი), ეს ჟურნალისტის სარეკლამო ფანტაზიის ნაყოფი გახლდათ, რადგან ეს წონა მაშინ მიუწვდომელი იყო მძიმე წონის ათლეტებისთვისაც კი. შეგახსენებთ, რომ ოლიმპიური და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის ლეონიდ ჟაბოტინსკის შედეგი ატაცში მხოლოდ და მხოლოდ 218 კილოგრამს უდრიდა (საქართველოს რეკორდი ამ წონაში 137 კილოგრამი იყო და ცხაკაიელ ალექსანდრე

ეს. ამ.-ა 33

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპორტი — ერის სამსახურში! — საქმემან შენმან გამოგაჩინოს.

საოცნებო... სინამდვილე

ნათელმა და კონკრეტულმა მიზანმა მიხმო ოზურგეთისაკენ. ამ რაიონიდან უნდა დამეწყო იმ ფიზიკულტურულ მუშაკთა საქმიანობის გაცნობა, რომლებსაც მოუწევთ „ფიზიკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების კონცეფციის პროექტის“ მიზანდასახულებათა სისრულეში მოყვანა, ძლიერი, სუვერენული საქართველოსათვის ჯანმაგარი ახალგაზრდობის აღზრდა.

ჯერ კიდევ თბილისში იმდენი რამ მითხრეს ჭიდაობის მწვრთნელებზე, სამ ძმა ზურაბიანებზე, რომ რაიონში „ოფიციალურ პირებთან“ ვიზიტისას ჩემი პირველი შეკითხვა სწორედ ძმებს ვლადიმერ, ვალერი და იური ზურაბიანებს შეეხებოდა. „როცა გაეცნობით მათს საქმიანობას, მოპოვებულ შედეგებს, ხალხის აზრს ამ ფუტკარივით მშრომელ ახალგაზრდებზე, და რაც მთავარია, როცა დაწერთ მათზე, შეიძლება მკითხველმა არც კი დაგიჯეროთო, — თითქმის ასეთი იყო ყველას პასუხი. მეც მთელი ჩემი სამივლინებო დღეები მხოლოდ ძმებთან გავატარე და დავრწმუნდი — სრულ სიმართლეს ამბობდნენ ზურაბიანების საქმიანობის შემფასებელნი... წამოვიღე მასალებით სავსე რვეული, თუმცა დაეჭვებული ვიყავი: მართლაც, დამიჯერებს კითხველი თუნდაც ასეთი ფაქტის რეალობას: კლასიკური სტილის ჭიდაობის სამმა სპეციალისტმა — ნატანების, ოზურგეთისა და ვაკიჯვრის საჭიდაო დარბაზებში, ყოველგვარი ელემენტარული პირობებისა და ნორმალური ანაზღაურების გარეშე (წლინახევრის განმავლობაში არცერთი მათგანი ხელფასს არ იღებდა და საკარმიდამო ნაკუთვნის შემოსავლის ამარა იყვნენ), იმდენი იშრომა, რომ მათმა აღსაზრდელებმა 5 წლის განმავლობაში 27-ჯერ მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონის ტიტული სხვადასხვა ასაკში. მათ შორის თენგიზ მელუა რვაგზის ჩემპიონია, იაშა ბოკუჩავა — ექვსგზის, დავით დოლიძე — ხუთგზის, დავით სირაძე — სამგზის, ავთანდილ ტუღუში— ორგზის და ა. შ. ბიჭებმა უკვე წარმატებით მოიარეს მოსკოვის, ლენინგრადის, რიგის, ბრესტის, ვიტებსკის, ერევნის, ტულის, მარიუპოლისა და ფრუნზეს სარბიელები. მართლაც გამიჭირდა დაჯერება იმისა, რომ საქართველოს 1989 წლის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ოზურგეთელი ნორჩი „კლასიკოსები“ მხოლოდ 4 (!) ქულით ჩამორჩნენ გამარჯვებულ თბილისის გუნდს. ახლა 4 აქაური მოჭიდავე საქართველოს ნაკრების წევრია (მათ ვერ შევხვდი, ბორჯომში იმყოფებოდნენ რესპუბლიკურ შეკრებაზე).

არადა, რომ იტყვიან, ფაქტი სახეზეა!

ოზურგეთში, დილით, საჩაიეში შევიარეთ. მეზობელ მაგიდაზე ხმაური არ წყდებოდა. რამდენიმე ახალგაზრდას, როგორც ჩანს, ჩაით მოესურვებინა ნაბახუსევზე „გამოსვლა“. უცებ მათთან გაჩნდა საჩაიეს გამგე და რაღაც უთხრა ახალგაზრდებს. მაგიდაზე სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა უთხარი ისეთი? — ჰკითხა მას რაიონის სპორტსკოლის დირექტორმა, წარსულში ცნობილმა ხელბურთელმა სერგო ქარჩილაძემ.

— ვუთხარი ის, რითაც ამ ბოლო დროს აქ შემოსულ ყველა ონავარს ვაწყნარებ: „ჩუმად, ბიჭებო, სასადილოში ძმები ზურაბიანები არიან!“

იციან ზურაბიანების ხასიათი, რომ არაწესიერებიენ ხულიგნობას, ანდა იცნობენ ძმების კეთილ საქმეებს და, უბრალოდ, პატივს სცემენ მათ!“

რაიონის რამდენიმე ხელმძღვანელს უმალ განუჭვრეტია, რომ ზურაბიანებს ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლოთ ახალგაზრდებისათვის. ბატონ გივი წითლიძეს გამოუყვია ერთი ოთახის მოჭიდავეებისათვის (რომელსაც, სხვათა შორის, წელს კიდევ ორი შეემატება), ოზურგეთის კოლმეურნეობის თავკაცს თენგიზ ლომაძეს საბავშვო ბაღის ყოფილი შენობა მთლიანად გადაუცია ძმების განმგებლობაში, ვაკიჯვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიხეილ სიმაშვილს — ჩაის საწონი პუნქტი გამოუთავისუფლებია და ბიჭებისთვის დაუთმია.

ამ სამ ბაზაზე თითქმის ყველაფერი ძმების ხელით გაკეთდა... ოზურგეთის საჭიდაო სახლი ერთ ლეიბს ძლივს იტევს. იქვე დგას ძმების მიერ დამზადებული ორძელი, მათივე გამართული გათბობის სისტემა, ეზოში მოუწყვიათ მინიფეხბურთის მოედანი, ორი ლატანი, გასახდელი, აბანო!

მ. სიამაშვილთან საუბრიდან: „მახსოვს ძმების ტალახში მოსვრილი, ზოგჯერ გასისხლიანებული ხელები, კი ვახმარდი მასალას ახალგაზრდებს, მაგრამ მაგათი ენთუზიაზმი რომ არა, საქმეს მაინც არაფერი ეშველებოდა.

ხალხი ბრძენია, სიკეთეს კარგად ხედავს. „ხალხო, — შესძახა თურმე კრებას ერთმა მშობელმა, — ხომ ხედავთ, ამ ძმებმა ზურაბიანებმა რა სასწაული მოახდინეს, ჩვენი ბავშვები შვიდ საათზე დგებიან და მიდიან სავარჯიშოდ. მოსწრებიხართ ამისთანას? ჩვენი ვალერი (იგი ვაკიჯვარში მუშაობს) იმ მცირე ჯამაგირს ისევ ჩვენ შვილებს ახმარს, აქ ამოსასვლელად ბენზინის ფულადაც არ ყოფნის, ჩვენ კი ვერაფრით ვეხმარებით!“.

და სოფელმა კოლექტიური წერილით მიმართა ხელმძღვანელობას: „შევაგროვოთ თანხა და ახალი საჭიდაო სახლი ავუშენოთ ჩვენს შვილებს. ეს თანხა ორმაგი სიკეთით დაგვიბრუნდება“. პროექტი თვით ვალერიმ შეადგინა, იგი მალე დაამტკიცეს და ახლა უკვე ჩაიყარა მამაცალი დარბაზის საძირკველი (21X14 მეტრზე, ბიჭებს საუნაც ექნებათ). სხვათა შორის, წინა დღეს ასეთივე გულისტკივილით მომმართა რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ილია ხმელრიკმა: „ვალში ვართ ძმებთან, მე ხომ ვიცი, სამივეს ერთი დანჯღრეული საზიარო მანქანა ჰყავთ, რომელსაც მხოლოდ ერთადერთი ფუნქცია აკისრია — წვრთნის შემდეგ ბავშვები სახლებში „დაარიგოს“. თუ კაცი ვარ, ამ წელს მათთვის ახალ მანქანას გამოვაყოფინებ“.

ვაკიჯვრის სკოლის დირექტორი კუკური ბუბუტეიშვილი: „თუ დააკვირდით, როცა ძმებთან ერთად სკოლის ეზოში შემობრძანდით, მოსწავლეთა დიდი ნაწილი როგორ მისცვივდა მათ. ისინი მოჭიდავეები არიან. ორმოცდაათივე ბავშვი, რომლებიც მათთან ვარჯიშობენ (მსურველი უფრო ბევრია, მაგრამ დარბაზის სიმცირის გამო ვერ იღებენ), მოწინავეა. ყოველ დილით უნდა გახედო ამ მთის ფერდობს, რომელზეც მოდებულნი არიან ჩვენი ნორჩები და მწვრთნელთან ერთად დარბიან. ის კი არა, ახლა, მათთან ერთად, ზოგჯერ მშობლებიც გამოდიან სავარჯიშოდ. ზოგიერთი, რომელსაც მთაზე ასვლა უჭირს, აქვე, სკოლის ეზოში ვარჯიშობს. მოდი და ასეთ სპეციალისტებს მხარში ნუ ამოუდგები!“

თანადგომა ხამივე ძმამ აშკარად იგრძნო. ერთი მაგალითი მრავალთაგან: ერთ-ერთმა ძმამ, იურომ მითხრა: „რაიონის მილიციის უფროსი, წარსულში ცნობილი მოჭიდავე იური სიორიძე გვიბარებს, იქნებ თქვენც გამოგვყვეთო“. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ ბატონმა იურომ პირდაპირ განმიცხადა: ჩვენი რაიონი ვალშია ამ სამ ძმასთან, ყველა ხედავს მათ თავდადებას, პატიოსნებას, საქმის ერთგულებას, რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებამ გადაწყვიტა: ოზურგეთში ამჟამინდელი საჭიდაო „დარბაზის“ ნაცვლად ააგოს თანამედროვე დარბაზი. „ბიჭებო, — მიმართა შემდეგ ძმებს, — ხვალ დილით მომიტანეთ ყველა მოთხოვნა, რაც საჭიროა ამ საქმის ხორცშესასხმელად. პირველ ყოვლისა პროექტია საჭირო“.

— პროექტი მზადაა, იგი შარშანწინ გააკეთეს, მაგრამ მაშინ მისი განხორციელებისთვის ვერ მოიცალეს“, — თქვა იური ზურაბიანმა და მილიციის უფროსის მაგიდაზე პროექტი გაშალა.

ასე ჩაეყარა საფუძველი კიდევ ერთ კარგ საქმეს.

არ შემიძლია ერთი განზოგადების ღირსი სიახლის შესახებაც არა ვთქვა:

ოზურგეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თენგიზ ლომაძე დაეს-წრო ბიჭების წვრთნას, გახედა გასახდელში შესულ მკლავმაგარ ჰაბუკებს და უთხრა ვლადიმერ ზურაბიანს: „— რა იქნება, რომ ამ დარბაზის უკან მდებარე 800 მეტრი ფართობი მთლიანად მოჭიდავეებს გადმოგცეთ, დარგეთ ტყემალი, ორ წელიწადში ნაყოფს მოგცემთ და ყოველწლიურად მიღებული შემოსავალი ისევ ჩვენს ნორჩებს მოვახმაროთ. ოღონდ ყველა სამუშაო თვითონ მოჭიდავეებმა უნდა შეასრულონ“.

როცა ბავშვები შეკრიბეს და უთხრეს ამის შესახებ, სიხარულით ცას ეწივნენ!

განა შეიძლება სპორტსმენთა (და საერთოდ, ახალგაზრდობის) შრომითი აღზრდის უკეთესი ორგანიზაცია?!

უფრო ადრე იგივე გააკეთა გივი წითლიძემ, ოღონდ მან მანდარინის ბაღი დაუთმო სპორტსმენებს (დამამახსოვრდა: ბატონმა გივიმ საუბარში ასეთი ფრაზა გაურია: „მე რომ უფლება მქონდეს, ხელმძღვანელად არ გავუშვებდი ისეთ კაცს, რომელსაც სპორტი არ უყვარს“).

ჭიდაობის მოყვარულები მოუთმენლად ელიან კვირა დღეს, ამ დროს სამივე ძმის აღსაზრდელები თავს იყრიან ოზურგეთის საჭიდაოზე და ისეთი პრინციპული შერკინებები იმართება, რომ ბევრ ოფიციალურ შეჯიბრებაზე ვერ ნახავთ. ზოგ მშობელს თავისი ინიციატივით მოაქვს რაღაც პრიზები, მეორეს — ხილი გადაღლილი ნორჩი მორკინალებისათვის, მესამეს— ავტობუსი მოჰყავს, ასამდე ბიჭის შინ დასაბრუნებლად.

ამ ღონისძიებების დროს საჭიდაო დარბაზის გარშემო იმდენი მანქანა იყრის თავს, იფიქრებთ, პრინციპული საფეხბურთო მატჩი იმართებაო.

მე კიდევ სხვა ბევრი დამახასიათებელი ფაქტი ჩავიწერე, მაგრამ, ვფიქრობ, რაც ითქვა, საკმარისია და ბევრ ჩვენს მწვრთნელს უნდა გამოადგეს მაგალითის ასაღებად.

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომისა და გაზეთ „ლელოს“ დავალებით

ავთანდილ ციბაძე.







მეზობლების გასაჭირი

საგურთალოს ქუჩაზე გვერდიგვერდაა განლაგებული საინსტრუმენტო ქარხანა და ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონი“.

„ბახტრიონში“ მომსახურე პერსონალის 90 პროცენტი ქალები არიან. „სუსტი სქესის“ წარმომადგენლებს, ცხადია, თოვლში თუ წვიმაში ვერ დააძალებ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას. აი, სპორტულ-სატრენაჟორო დარბაზი რომ იყოს... მაგრამ რომელ დარბაზზე შეიძლება ლაპარაკი, როცა საწარმოში მარტივი ტიპის სპორტული მოედანიც არ არის, თუმცა იგი ოდესღაც არსებობდა და ზედ შეჯიბრებებიც იმართებოდა.

მაგრამ გაერთიანების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა სამღებრო საამქროს აშენება...

საწარმოს მართლა ესაჭიროება სამღებრო საამქრო. მაგრამ გულდასაწყვეტი ის არის, რომ „დაბალი ღობის“ პირობებში ტრადიციულად სპორტული ბაზა აღმოჩნდა, როგორც მეორეხარისხოვანი და ქარხნისათვის არასაჭირო ობიექტი. დიახ, სწორედ სპორტული მოედნის ნაწილი შეიწირა საამქროს მშენებლობამ, რატომღაც გაჭირდა საამქროს ორიოდე მეტრის მოშორებით დაპროექტება.

„ბახტრიონის“ ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი ნათელა სილაგავა ენთუზიასტი, საქმის მცოდნე და მოყვარული ქალია, მაგრამ „შიშველი“ ხელებითა და მარტოოდენ ენთუზიაზმით საქმე რომ არ გაკეთდება, ეს ძველი ჭეშმარიტებაა.

სპორტული მოედნის „საკომპენსაციოდ“ ადმინისტრაციამ გადაწყვიტა დაეხმაროს მეთოდისტს და გამოუყოს მას ფართი სამკურნალო ფიზკულტურის ოთახის მოსაწყობად. საამისოდ ყველაფერი მზად არის, შეძენილია ტრენაჟორები, სხვა ინვენტარი, მოწვეულია სპეციალისტი, მაგრამ დანაპირები ოთახი არ ჩანს.

მიუხედავად ხელმძღვანელობის მხრიდან ფიზკულტურისა და სპორტისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა, ახალგაზრდები, თავიანთი მეთოდისტის თაოსნობით, მაინც ახერხებენ „მოკლე საბანში“ ფეხის გაშლას: ტრადიციულად ტარდება ლაშქრობები საქართველოს ღირსშესანიშნავ ისტორიულ ადგილებში. იმართება შიგასაწარმოო შეჯიბრებები შაშში და ჭადრაკში, ტარდება მუშათა სპარტაკიადები. საწარმოს ახალგაზრდებმა ორიოდე კვირის წინ ბაკურიანში, მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის მიერ მოწყობილ ტურნირში (სათხილამურო სპორტში) II ადგილიც კი დაიკავეს.

მოკლედ, საწარმოში სპორტისადმი სიყვარული და ინტერესი დიდია, არის კვალიფიციური ინსტრუქტორ-მეთოდისტიც, მაგრამ არ არის სპორტული ბაზები, რომ ამ „პოტენციას“ გასაქანი მიეცეს.

თუ წვრილმან განსხვავებას არ გავითვალისწინებთ, ანალოგიური მდგომარეობაა საინსტრუმენტო ქარხანაშიც.

აქაც ერთი სპორტული მოედანი იყო, მაგრამ საჭირო შეიქნა გამწმენდი ნაგებობის აშენება და, ამჯერადაც, თუმც დროებით, მან მაინც მოედანი შეიწირა. თვითონ მშენებარე ობიექტი მოედნიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით არის, მაგრამ სამშენებლო ტექნიკის ნაწილი და სხვა მანქანა-დანადგარები უშუალოდ მოედნის ტერიტორიაზეა განლაგებული.

სხვა მხრივ საინსტრუმენტო ქარხანაში, როგორც ქარხნის პროფკომიტეტის თავმჯდომარემ ლია ჭუმბურიძემ გვითხრა, ყველაფერი რიგზეა და აქ თურმე სისტემატურად ტარდება საწარმოო ტანვარჯიში.

...ჩვენ სწორედ შესვენებაზე ვესტუმრეთ ქარხანას, საამქროებშიც გახლდით და არაფერი ამის მსგავსი არ გვიხილავს.

არ მინდა მანდილოსნის ნათქვამმა დამაეჭვოს და გულს იმით დავიმშვიდებ, რომ ეს ერთი დღე იქნებ გამონაკლისი იყო.

რაც შეეხება სხვა ღონისძიებებს, შიგასაწარმო ტურნირები შაშში, ჭადრაკში, ნამდვილად იმართება. ისიც ალბათ იმიტომ, რომ განსაკუთრებულ ბაზებს არ საჭიროებს სპორტის ამ სახეობებში ტურნირების გამართვა. ჩოგბურთის მაგიდები კი დერეფნებშია გამართული ადგილის უქონლობის გამო.

ქალბატონ ლიას თქმით, არც სპორტული ლაშქრობებია უცხო ხილი მუშა-მოსამსახურეთათვის. სამომავლოდ გადაწყვეტილია მრავალი საინტერესო ღონისძიების გამართვაც. მალე ქარხნის გუნდი მონაწილეობას მიიღებს მანქანათმშენებლობის რესპუბლიკური კომიტეტის ეგიდით გამართულ სპარტაკიადაში. მზადდება ხელშეკრულება ქარხნის პროფკომიტეტსა და მაგიდის ჩოგბურთის რესპუბლიკურ სკოლას შორის, რათა ამ უკანასკნელმა მომამზადოს მაგიდის ჩოგბურთში მუშა-მოსამსახურეთა შვილები. თითო ბავშვის მომზადება 187 მანეთი ჯდება. რასაკვირველია, კარგი წამოწყებაა, მაგრამ პროფკომიტეტს თანხა თავისი სპორტული მოედნის მშენებლობისათვისაც რომ გამოეყო, უკეთესი იქნებოდა.

მოკლედ, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა არც საინსტრუმენტო ქარხანაში და არც საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონში“ არ დგას სათანადო დონეზე. თუ „ბახტრიონს“ თავისუფალი ტერიტორია მაინც აქვს სპორტული მოედნისა და დარბაზის ასაშენებლად, რასაც ისინი უახლოეს მომავალში აპირებენ, საინსტრუმენტო ქარხნის მცირე მოცულობის ეზო ამის პერსპექტივასაც არ იძლევა.

ჩვენ გვესმის, რომ ორივე საწარმოს ფინანსური მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო არა აქვს, გეგმებს შესრულება უნდა, თანამშრომელთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაც საშური საქმეა, მაგრამ ყველა პრობლემა „დაჩაგრული“ ფიზკულტურისა და სპორტის ხარჯზე ხომ არ უნდა წყდებოდეს?

ლევან ჯავახიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურნირის პრიზიორები



დავით ბაგაური
(II ადგილი)



ვეფხვია კაპანაძე
(II ადგილი)



ვასილ ომარაშვილი
(III ადგილი)



ლერი ყორყოლიანი
(III ადგილი)

ორი ქართული ფინალი

(დასასრული)

დალთან ერთად, ფრანგმა ლამაზი ჭიდაობისთვის მიიღო.

მეორე შეხვედრაში ლერი ყორ-ყოლიანმა (მარნეულის რ-ნი) ძალ-ზე შეუპოვარ ბრძოლაში მცირე უპირატესობით აჯობა ძიუდოს მოყ-ვარულებისთვის კარგად ცნობილ ევგენი პეჩუროვს და მესამე ადგი-ლი დაიკავა.

86 კგ წონით კატეგორიაში ორ ახმეტელ ფალავანს ხვდა ჯილდოე-ბი, მაგრამ თუ ვასილ ომარაშვილს ბრინჯაოს მედლის მოპოვება წარ-მატებად ჩაუთვალეს, დავით ბაგაუ-რის „ვერცხლმა“ ხალხს გული და-სწყვიტა...

ამ წონით კატეგორიაში 30 მო-ჭიდავემ მოიყარა თავი და მათი სიძლიერე არავის აეჭვებდა. მოკ-ლედ, ფიცხელი ორთაბრძოლები იყო მოსალოდნელი და ასეც მოხდა. თვით საბჭოთა კავშირის ვიცე-ჩემ-პიონი ანზორ თენაძეც კი დამარცხ-და, ისევე როგორც ახალგაზრდა პერსპექტიული ფალავანი გიორგი გაჩეჩილაძე, აგრეთვე თენგიზ პაჭ-კორია და რევაზ შუკვანი.

ბრძოლის სიმწვავეს ვერ გაუძლეს ვერც ვიქტორ პოდუბნიმ და ვერც სახელოვანმა ვიტალი. პესნიაკმა, ვერც ოლეგ მალცევმა. პესნიაკს ომარაშვილმა სძლია. სხვა მეტო-ქეებიც ვერ გაუმკლავდნენ ახალ-გაზრდა ახმეტელ ფალავანს, მაგრამ ფინალში გასასვლელი შერკინება დავით ბაგაურთან მოუწია და და-მარცხდა.

ბაგაური სხვა შეხვედრებშიც ოს-ტატურად მოქმედებდა, სამი წმინდა გამარჯვება მოიპოვა, ერთიც — ქუ-ლებით. მეორე ქვეჯგუფიდან ასევე დამაჯერებლად აჯობა მეტოქეებს ფრანგმა პასკალ ტაიომ.

ფინალში საკვირველი ამბავი მოხ-და. ბაგაურმა (მწვრთნელი ტარიელ შათირიშვილი) ულამაზესი ილე-თით ძირს დასცა მეტოქე და მწო-ლიარე, მსაჯის გადაწყვეტილებას დაელოდა („მეგონა წმინდა გამარჯ-ვებას მომაკუთვნებდნენ და გავ-ჩერდი“, — დანანებით თქვა მან შეხვედრის შემდეგ), მაგრამ არბი-ტრმა მხოლოდ ვაზარი (ნახევარი მოგება) „გაიმეტა“, ფრანგი მყის გაერკვა სიტუაციაში და შებოჭა თავისი მეტოქე. ამიტომ დასწყდა ხალხს გული, რადგან სამართლიანად თვლი-დნენ, რომ ბაგაურს დასანანი შეც-დომა მოუვიდა.

ამ შეხვედრამდე ცოტა ხნით ად-რე კი, როგორც უკვე ვთქვით, ვა-სილ ომარაშვილმა ლამაზი ფანდი იხმარა და წუთსა და 55 წამში ძირს დაანარცხა რასიმ აღამიროვი. ამ წონ-აში მეორე ბრინჯაოს მედალი აპტი მაგომედოვმა მოიპოვა.

„ლელოს“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ საბჭოთა კავშირის ნა-კრებში, რომელიც ევროპის ჩემპი-ონატზე უნდა გაემგზავროს, ადვილი შესაძლებელია მოხვდეს 5 ქართ-ველი ჭიდავე. ჩვენებს ერთ-ერ-თი „ვაკანსია“ ძმიმე წონაში აქვთ, ამიტომ ძიუდოს მოყვარულებისა-თვის საინტერესო უნდა იყოს ნა-კრების უფროსი მწვრთნელის ვლა-დიმერ კაპლინზს აზრი გუნდის უპი-რველეს კანდიდატებზე ამ წონაში.

— „დავით ხახალეიშვილმა ძა-ლიან მოუმატა ბოლო ხანს, მას, ძმიმე წონის მოჭიდავის პირობაზე, პირდაპირ შესანიშნავი რეაქცია აქვს. ცოტა წონასაც მოიმატებს და უფრო ძლიერი გადგება. ევროპის ჩემ-პიონატზე ან მას წავიყვანთ, ან გამოცდილ აკაკი კიბორძალიძეს.

● **ადრე თითქოს უფრო ბევრი ძმიმე წონის მოჭიდავე ჩამოდიოდა თბილისში, თანაც ერთმანეთზე საუკეთესოები, — მივმართეთ ტურ-ნირის მთავარ მსაჯს, ოლიმპიურ ჩემ-პიონს შოთა ჩოჩიშვილს.**

— ადრე ძმიმე წონაში მართლაც ბევრი კარგი ძიუდოისტი გამოდი-ოდა. იაპონელებს ახლაც ყავთ ორი მეტად ძლიერი სპორტსმენი, ერთი — ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ოგავა, მეორემ კი სულ ახლახანს მოიგო საფრანგეთის პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი. სხვა უძ-ლიერესები კი ჩვენი ბიჭები არიან, შარშან კიბორძალიძემ ვერცხლის მედალიც აიღო მსოფლიო ჩემპიო-ნატზე. ვერიჩევი კი უკვე თავს ანებებს ჭიდაობას. ბოლო ხანს იაპონელები აქ ჩვენს დასაზვერად უფრო ჩამოდიან, ვიდრე საჭიდაოდ.

● **უცხოეთის საერთაშორისო ტუ-რნირები არ მინახავს. როგორ მიმ-დინარეობს ისინი, რამდენად გა-ნსხვავდება ამ შეჯიბრებისაგან?**

— ორგანიზაციული თვალსაზრი-სით განსხვავება თითქმის არ არის, იქნებ ჩვენ უფრო ვიყოთ წინ. ვერც სიძლიერით გვაჯობებს რომელიმე, იქაც დაახლოებით ასეთი კლასის მოჭიდავეები გამოდიან...

78 კგ. წონაში მოჭიდავეთა სა-რეკორდო რაოდენობამ მოიყარა თა-ვი — ტატამზე 39 სპორტსმენი გა-მოვიდა, მათ შორის 11 საქართვე-ლოს გუნდის წევრი. ამ მიზეზით საჭირო გახდა ე. წ. ჩრდილოთა (და-მატებითი) შეხვედრების გამართვა, რის გამოც ზოგიერთ მონაწილეს ერ-თით მეტი ორთაბრძოლის ჩატარებაც მოუწია.

გუშინ დილას გამართულ შერკი-ნებებში დაუმარცხებლად ასპარე-ზობდნენ იოსებ ჭყონიშვილი, გი-ორგი ხუციშვილი, სოსო ლიპარტე-ლიანი, ოლეგ რატიანი. ბაკური ერ-აშვილმა კი სწრაფად მოგების „რე-კორდი“ მოხსნა, 12 წამში დაამა-რცხა პოლონელი დარიუშ პონია-ტოვსკი. 13 წამში გაიმარჯვა თამაზ ჭელიძემ, ოღონდ მათ მომდევნო შეხვედრები თანაგუნდელებთან და-თმეს, ერაშვილი წმინდად დამარც-ხდა ლიპარტელიანთან (ამ უკანასკ-ნელმა ძალიან ლამაზი ფანდი ჩაა-ტარა), ჭელიძემ ჭყონიშვილთან წა-აგო.

მონაწილეთა დაწყვილება, ცხა-დია, წილისყრით მოხდა, მაგრამ იქნებ ჯობდა, რომ უცხოელი მოჭი-დავეები პირველ ტურში ერთმანეთს არ შეხვედროდნენ. არადა, 71 კგ. წონაში თავიდანვე დაწყვილდნენ ფრანგი ბოჟო და პოლონელი ეი-ვულკო, იაპონელი ფურუტა და პო-ლონელი ნაიმოვიჩი.

ამ წონაში რამდენიმე ფავორიტი იყო, მათ შორის ერთ-ერთი უპი-რველესი — თბილისის შარშანდელი ტურნირის ფინალისტი პასკალ ბო-ჟო, მან ეივულკო ლამაზი გდებით დაამარცხა, შემდეგ იუკოს უგებდა ზურაბ ონიანსაც, მავრამ ზურაბმა ტატამზე „დაიჭირა“ და 30 წამით შებოჭა. ონიანის ამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მისი სხვა მეტოქეები უფრო ნაკლე-ბი ძალისანი იყვნენ, ალბათ, მხო-ლოდ იაპონელი სატოსი ფურუტას გარდა, რომელსაც ჩვენმა ფალავანმა ჰანტეით აჯობა და ფინალში გავი-და. უფრო ადრე კი მან წმინდად დაამარცხა თურქი აიდოგან მეტი-ნი და თანაგუნდელი ბესიკ გი-ორგაშვილი.

ძნელ შეხვედრებში გაიკვლია გზა ფინალისკენ ბათო ჯიქურმაც. ჯერ ჰანტეით დაამარცხა მახაჩ აბდულა-ევი, შემდეგ. უკვე წმინდად — თა-ნაგუნდელი დავით ფიცხელაური, შემდეგ ძნელი ბრძოლა მოუგო იაპონელ ესიტაკა იუკიპარუს (ბათოს ვაზარი და ერთი გაფრთხილება-ჩუი ჰქონდა, მის მეტოქეს — იუკო), მე-ოთხე შეხვედრაში კი ლამაზი ილე-თით ძირს დასცა ცნობილი მოჭიდა-ვე შარიპ ვარაევი. ამრიგად, 71 კგ წონითი კატეგორიის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ქართველი ფალავნები ბათო ჯიქური და ზუ-რაბ ონიანი.

65 კგ წონაში შეხვედრები უფრო გვიან დაიწყო.

გიორგი ჩოჩიშვილი.

• • •

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



პასკალ ტაიო არ არის ახალბედა ძიუდოისტი და კაცმა არ იცის როგორი გეგმებით ჩამოვიდა იგი საფრანგეთიდან თბილისში. მაგრამ საერთაშორისო ტურნირის პირველ დღეს რომ დიდად გაიზარა, ამას პატივცემულო მკითხველო, თქვენც კარგად ატყობთ მარჯვენა ფოტოზე. გამარჯვება ისეთ პრესტიჟულ შეჯიბრებაში, როგორიც თბილისის საერთაშორისო ტურნირია, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, მაგრამ ფრან-გი სპორტსმენის სიხარულს ამ დღეს სხვა საფუძ-ველიც ჰქონდა. რამდენიმე წამით აღრე იგი ფაქ-ტიურად უნუგეშო მდგომარეობაში იყო. დავით ბა-გაურმა ფინალურ ორთაბრძოლაში ეფექტური ილე-თი ჩაატარა და ტაიო ბეჭებით დაანარცხა ხალიჩას. ქართველმა ძიუდოისტმა საქმე დამთავრებულად ჩა-თვალა და წამით მოდუნდა. ფრანგმა კი ისარგებლა იმით, რომ ამ ილეთს არ მოჰყოლია არბიტრის შეძა-ხილი „იპონ“ (რაც წმინდა გამარჯვებას ნიშნავს), და-ახტა ბაგაურს და შებოჭა იგი (ძიუდოში ესეც წმი-ნდა გამარჯვებაა).

ჩვენ სრულებითაც არ გვინდა არბიტრის გადაწყვე-ტილებაში რაიმე ეჭვი შევიტანოთ, მაგრამ ის კი უნ-და აღვნიშნოთ, რომ ისეთ გამოცდილ მოჭიდავეს, როგორიც დავით ბაგაური გახლავთ, მსგავსი უყურა-დღებობა, უბრალოდ რომ ვთქვათ, არ ეკადრება.

ფოტოებზე (მარცხნივ) — აი ამ ბრწყინვალე ილე-თის შემდეგ — ჩათვალა ბაგაურმა, რომ შეხვედრა მოგებული ჰქონდა. მარჯვნივ კი თქვენ ხედავთ გა-ხარებულ პასკალ ტაიოს.

ოფიციალური ცნობა

უმაღლესი ლიგაში — 14 გუნდი

14 გუნდი მიიღებს მონაწილეობას უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატში, რომლის სტარტი დღესაა დანიშნული. შეჯიბრების ორგანიზატორები ბოლო დღემდე უცდიდნენ განაცხადებს თბილისის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიისაგან“, მაგრამ განაცხადები საკავშირო ფედერაციაში არ მისულა.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა ა. პარამონოვმა საკდესის კორეს-პონდენტს ამის თაობაზე განუცხადა:

— ნაცვლად ამისა, მივიღეთ საქა-ართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის გადაწყ-ვეტილება, რომელშიც გვატყობინებ-ენ, რომ 1990 წლიდან დაწყებული რესპუბლიკის არც ერთი გუნდი მო-ნაწილეობას არ მიიღებს საკავშირო ჩემპიონატში და სხვა ოფიციალურ შეჯიბრებებში, რომლებიც საკავ-შირო ეგიდით იმართება. განა ვინ-მეს აეჭვებს, რომ ეს ნაბიჯი იმოქ-მედებს მთლიანად საბჭოთა ფეხ-ბურთზე, მაგრამ საბოლოოდ გაცი-ლებით მეტს დაკარგავს ქართული ფეხბურთი, ვინაიდან იგი თავისე-ბურ „ნებაყოფლობით იზოლაციაში“ აღმოჩნდება, მათ შორის საერთა-შორისო შეჯიბრებებშიც და ამის შედეგად იძულებული იქნება საკუთარ წვენში მოიხარშოს.

სსრ კავშირის ჩემპიონატისა და სხვა შეჯიბრებათა კალენდარი არ შეიცვლება, იქიდან ამოიღებენ მხოლოდ მატჩებს თბილისის „დინა-მოსა“ და ლანჩხუთის „გურიის“ მო-ნაწილეობით. სეზონის დასასრულს გუნდი, რომელიც ბოლო ადგილ-ზე გავა, დატოვებს უმაღლეს ლი-გას, უძლიერესთა რიგებს კი შე-უერთდება პირველი ლიგის 3 უძ-ლიერესი კლუბი. პირველ ლიგაში მონაწილეობას აღარ მიიღებენ ქუ-თაისის „ტორპედო“, ბათუმის „დინამო“ და სოხუმის „დინამო“.

სსრ კავშირის თასის გათამაშება-ში საპასუხო მერვედფინალური მატ-ჩი თბილისისა და კიეველ დინა-მოელთა შორის არ შედგება. კიე-ველები პრიზისთვის ბრძოლას გა-ნაგრძობენ მეოთხედფინალიდან.

(საკდესი).

ამხანაგური შეხვედრების შემდეგ

როგორც სპორტის მოყვარულე-ბმა იციან, საბჭოთა კავშირის ფეხ-ბურთელთა ახალგაზრდული ნაკრე-ბი ამხანაგური შეხვედრების ჩასა-ტარებლად ირანსა და სირიაში იმ-ყოფებოდა. ნაკრების დირსებას ამ მატჩებში თბილისის დინამოელები ზ. რევიშვილი და კ. ცხადაძეც იცავ-დნენ.

22 თებერვალს გუნდი მოსკოვში ჩაფრინდა, აეროპორტში მათ დახვ-დათ მოსკოვის „სპარტაკის“ ერთ-ერთი მწვრთნელი. სწორედ მისგან შეიტყვეს ფეხბურთელებმა და მწვ-რთნელებმა, რომ საქართველოში შეიქმნა დამოუკიდებელი ფეხბურ-თის ფედერაცია და ჩვენი რესპუბ-ლიკის ყველა გუნდი, რომელიც ადრე საკავშირო პირველობებში და თასის გათამაშებაში მონაწილობ-და, უკვე წლევანდელი სეზონიდან რესპუბლიკის პირველობაზე გამოვა.

— შენ და კახა როგორ შეხვდით ამ ფაქტს, — ვკითხეთ ზაზა რევი-შვილს.

— დაგვერწმუნეთ, რომ გულით გაგვეხარდა, წლების განმავლობაში ოჯახს მოწყვეტილები ვიყავით, ახლა კი ყველაფერი წესრიგშია. რესპუბ-ლიკის გუნდებს შინაურ ჩემპიო-ნატში მოუწევთ გამოსვლა, რაც. იმედია, თამაშის ხარისხსაც დაეტ-ყობა.

მზია მეგაღიშვილი.

კვლავ 23 წლის შემდეგ

(დასასრული)

ჯეჯელავას ეკუთვნოდა) იმ დროს, როცა 90 კგ-წონით კატეგორიაში იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონის კახა კახიაშვილის პირადი რეკორდი 220 კილოგრამია.

ალბათ, საინტერესო იქნება ისიც, რომ მაშინ თბილისის სპორტის სასახლეში არაერთი გამოჩენილი ძალოსანი გამოვიდა. მათ შორის იყვნენ ოლიმპიური და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები: პოლონელი ვ. ბაშანოვსკი, ინგლისელი ვ. მარტიანი, უნგრელი დ. ვერეში, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ვ. ბელიაევი და სხვები. საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდნენ დ. შანიძე და გ. კოჩიევი.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ორივე ათლეტმა გაიმარჯვა. ამასთან, შანიძემ 150 კილოგრამი აჭკრა და თავისივე საკავშირო რეკორდი 2,5 კილოგრამით გააუმჯობესა, ხოლო საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა კოჩიევმა მსოფლიო ჩემპიონი ბელიაევი დაჯაბნა.

ხვალ, როგორც აღვნიშნეთ, სპორტის სასახლე კვლავ უმასპინძლებს საერთაშორისო ტურნირს. თუ როგორ მოემზადნენ ამ პრესტიჟული ასპარეზობისთვის, გვესაუბრება საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი ძალოსნობაში რამაზ გურგენიძე:

— ტურნირისთვის მზადება შარშან, დეკემბრიდან დავიწყეთ. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი 19 ქვეყანამ გამოთქვა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, საკავშირო სპორტსახკომმა ახლახან მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა ქვეყნის შიგნით სამგზავრო ბილეთები მხოლოდ ვალუტით უნდა შეიძინონ. ამან შეიძლება ერთგვარი დაბრკოლება შექმნას, თუმცა მოსკოველები გვპირდებიან, რომ ამ საქმეს ძველი წესის მიხედვით მოაგვარებენ.

● ძალოსანთა ტურნირი ძიუდოს საერთაშორისო ტურნირის დამთავრებისთანავე იწყება. ეს ხელს ხომ არ შეგიშლით დარბაზი სათანადოდ რომ აღჭურვოთ?

— ცხადია, სასურველი იყო შეჯიბრებებს შორის პერიოდი ორისამი დღე მაინც ყოფილიყო, სამწუხაროდ, საკავშირო სპორტსახკომმა, რომელიც ასეთ შეჯიბრებებს გეგმავს, არ გაითვალისწინა ეს უხერხულობა, მაგრამ ყველა ღონეს ვიხმართ, რომ ძირითადი სამუშაოები — საშეჯიბრო ტაბლო და ფიცარნაგი — დროულად მოვაწყოთ.

● დღეს თითქმის ყველა შეჯიბრებას სპონსორები ჰყავს...

— გამონაკლისი, ცხადია, არც ჩვენ ვართ. მხარში ამოგვიდგნენ მთელი რიგი ორგანიზაციები. წინასწარ მადლობა მინდა გადავუხადო ტურნირის სპონსორებს: თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკას, ქარხანა ანალიზხელსაწყოს, რუსთავის საწარმოო გაერთიანება ავტომატმრეწვს, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, საწარმოო გაერთიანება „კავკასიას“, საქკოპტექნიკას, რესპუბლიკური საბითუმო საცალო გაერთიანება „ავეჯს“. ცალკე მინდა აღვნიშნო, რომ კინოსტუდია „სპექტრის“ დირექტორმა ჭაბუა ამირეჯიბმა გადმოგვირიცხა ათი ათასი მანეთი, აქედან ექვსი ათასი მანეთი საპრიზო ფონდზე დაიხარჯება, დარჩენილი თანხა მოხმარდება საქართველოში ძალოსნობის განვითარებას, ბაზების კეთილმოწყობას.

● სიტყვამ მოიტანა და კიდევ რა ხარგებლობა შეუძლია მოუტანოს ქართულ ძალოსნებს „მეგობრობის თასის“ ჩატარებამ?

— საქმე ისაა, რომ წლების განმავლობაში რესპუბლიკა სპორტული ინვენტარის დეფიციტს განიცდიდა, ალბათ საკმარისი იქნება ითქვას, რომ 1974 წლიდან დღემდე მხოლოდ ორად ორი ფიცარნაგი შევიძინეთ, ამ შეჯიბრების შემდეგ კი მთელი საშეჯიბრო აღჭურვილობა საქართველოში დარჩება. გარდა ამისა, ასეთი ტურნირები ყოველთვის ბიძგს აძლევს მეტი ახალგაზრდობის ჩაბმას სპორტის ამ სახეობაში.

● ცნობილი სპორტსმენებიდან ვის ელოდებით თბილისში?

— მაყურებლისთვის, ალბათ, ყველაზე საინტერესო იქნება ბულგარელთა მონაწილეობა, თუმცა კონკრეტულად რომელ სპორტსმენებს ჩამოიყვანენ, ჩვენთვის ცნობილი არაა. სამაგიეროდ, კარგად ვიცით, რომ საბჭოთა კავშირის უწყებათა ნაკრებების ყველა უძლიერესი ძალოსანი გამოვა. მათ შორის იქნებიან ოლიმპიური ჩემპიონები: იური ზახარევიჩი, იზრაელ არსამაკოვი, ალექსანდრე ხრაპატი და სხვები. სულ 70 ძალოსანი. ქართველი ძალოსნებიდან მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი წამყვანი ათლეტები: კახა კახიაშვილი, კობა ტალახაძე და ბიძინა მიქიაშვილი. შეჯიბრებას ტონს, ალბათ, საბჭოთა სპორტსმენები მისცემენ, რადგან ამ ასპარეზობის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება ქვეყნის ნაკრები, რომელიც მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში გამოვა. ერთი სიტყვით, ტურნირი ბევრ საინტერესო და მწვავე ორთაბრძოლას გვპირდება. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მსაჯთა კოლეგიაში 40 კაცია და აქედან 15 საქართველოს წარმომადგენელია. მთავარი მსაჯი გახლავთ საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის თავმჯდომარე იური ქართველიშვილი. ტურნირის დღეებში ჩატარდება სამეცნიერო კონფერენცია და სემინარი სპეციალისტებისა და მსაჯებისათვის. ღონისძიებებს დაესწრება ჩვენი ძალოსნობის აქტივი. და კიდევ ერთი, რაც, უეჭველია, მაყურებელს განსაკუთრებით დაანტერესებს — შეჯიბრების პროგრამაში შევიტანეთ საქართველოს უძლიერეს მკლავჭიდელთა და ძალოსანთა ნაკრების შეხვედრა. დარწმუნებული ვართ, ტურნირზე მოსული მაყურებელი არ მოიწყენს.

ჯემალ კასრაძე.

ᲧᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲐ!

2 მარტს ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (ვერის ბაღი) ქართული ჭიდაობის დამთავრების შემდეგ მაყურებელთა წინაშე წარსდგება გინესის წიგნის კანდიდატი, 50 წლის ჯუმბერ ლეჟავა, რომელიც იატაკიდან ერთი საათის განმავლობაში აზიდვას შეასრულებს.

თბილისის სპორტის სასახლეში 2-3-4 მარტს ტარდება ძალოსანთა საერთაშორისო ტურნირი — „მეგობრობის თასი“

მონაწილეობენ: სსრ კავშირის, გდრ-ის, ბულგარეთის, პოლონეთის, კუბის, აშშ-ის, ჩინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ლიბანის, ისრაელის, სამხრეთ კორეის, უნგრეთის, მონღოლეთის, ტაილანდის, ირანის, ერაყის, ავღანეთის, ნიკარაგუის, პერუს, კოლუმბიის, ლიბიისა და თურქეთის გუნდები.

დასაწყისი: **2 მარტს** (52, 56, 69, 67,5 კგ წონითი კატეგორიები) — 15 საათზე; **3 მარტს** (75, 82, 90კგ) 11 საათზე; **4 მარტს** (100, 110, +110) — 11 საათზე.

ტურნირი საზეიმოდ გაიხსნება 2 მარტს, 18 საათსა და 30 წუთზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

სპორტული მარტი

1-4. თავისუფალი ტატამის ჭიდაობა. საქართველოს პირველობა 1972-1973 წლებში დაბადებულთა შორის. **თბილისი.**

1-4. წყალბურთი. სსრკ ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ვაქები. I წრე, III ტური. **თბილისი.**

2-5. ძალოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება „მეგობრობის თასი“. **თბილისი.**

2-8. ველოსპორტი (საგზატკეცილო რბოლა). საკავშირო ტურნირი აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიზზე. ვაქები. **სოხუმი.**

4-15. შაში. საქართველოს პირველობა 1972 წ. დაბ. და უმც. ჭაბუკები. საერთაშორისო და 64-უჯრიან შაშში. **თბილისი.**

6-9. ქართული ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი. I ზონა. **ხაგარეჯო.**

6-12. წყალბურთი. საქართველოს თასი. წინასწარი თამაშები. **რუსთავი.**

7-11. ცხენოსნობა. ამიერკავკასიის რესპუბლიკური თასი. **თბილისი.**

10-29. ჭადრაკი. საქართველოს პირველობა. I ლიგა. ვაქები. **ტყიბული.**

16-19. თავისუფალი ტატამის ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი X სპარტაკიადის პროგრამით. **ხაგარეჯო.**

16-19. ქართული ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი. II ზონა. **ტყიბული.**

17-21. ხამბო. საქართველოს პირველობა 1970-1971 წ.წ. დაბ. **ფოთი.**

20-24. ხახტენდო ხროლა. საქართველოს თასი. ვაქები და 1971-1972 წ.წ. დაბ. ჭაბუკები. **თბილისი;**

22-25. თავისუფალი ტატამის ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი X სპარტაკიადის პროგრამით. დასავლეთის ზონა. **ტყიბული.**

22-25. ძიუდო. საერთაშორისო ტურნირი მრძოლვილი ს. ჟიანდის ხსოვნისადმი. 1972-1973 წ.წ. დაბ. ჭაბუკები. **თბილისი.**

22-31. ხმოვანი სათხილამურო სპორტი. საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრება. ვაჟები, ქალები, გოგონები 1972-1974 წ.წ. **გუდაური.**

23-25. ნიჩბოსნობა ბაიდარებითა და კანოეთი. საქართველოს თასი. **ფოთი.**

24-30. ბალახის ჰოკეი. სსრკ პირველობა 1972-1973 წ.წ. დაბ. შესარჩევი თამაშები. **ქუთაისი.**

24-30. მაგიდის ჩოგბურთი. საქართველოს პირველობა 1974-1975 წ.წ. დაბ. **თბილისი.**

26-31. კრივი. საქართველოს ჩემპიონატი X სპარტაკიადის პროგრამით. **ქუთაისი.**

29.III-1/IV. კლასიკური ტატამის ჭიდაობა. საქართველოს პირველობა 1976-1977 წ.წ. დაბ. **ხამტრედია.**

30-1/IV. აკადემიური ნიჩბოსნობა. საქართველოს თასი. **ფოთი.**

საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

ესპანეთი

27-ე ტური. „რეალი“ — —„რაიო ვალეკანო“ 5:2, „სარაგოსა“ — „ვალენსია“ 0:1, „ოსასუნა“ — „ატლეტიკო“ 2:1, „სევილია“ — „მალაგა“ 3:1, „ბარსელონა“ — „სან სებასტიანი“ 2:2, „ბილბაო“ — „კადისი“ 3:1, „მაიორკა“ — „ტენერიფე“ 0:2, „ვალიადოლიდი“ — „ხიხონი“ 1:3, „კასტელონი“ — „სელტა“ 1:0, „ოვიედო“ — „ლოგრონიესი“ 0:4.

„რეალი“	27	79-26	44
„ატლეტიკო“	27	39-26	36
„ვალენსია“	27	41-30	35

იტალია

26-ე ტური. „ინტერი“ — „ნაპოლი“ 3:1, „ბარი“ — „ლეჩე“ 0:1, „უდინეზე“ — „ჩეზენა“ 1:0, „იუვენტუსი“ — „ჯენოვა“ 1:1, „ბოლონია“ — „ლაციო“ 1:1, „სამპდორია“ — „ფიორენტინა“ 3:0, „კრემონეზე“ — „ვერონა“ 1:1, „ასკოლი“ — „ატლანტა“ 1:1, „რომა“ — „მილანი“ 0:4.

„მილანი“	26	45-17	40
„ნაპოლი“	26	40-24	38
„ინტერი“	26	38-22	35

შოტლანდია

27-ე ტური. „აბერდინი“ — „სელტიკი“ 1:1, „დანდი იუნაიტედი“ — „სენტ მირენი“ 2:0, „ჰიბერნიანსი“ — „დანფერმლაინი“ 2:1, „მოზერუელი“ — „დანდი“ 3:1, „რეინჯერსი“ — „ჰართსი“ 0:0.

„რეინჯერსი“	27	37-14	39
„აბერდინი“	27	41-25	32
„ჰართსი“	27	45-31	31

ბელგია

22-ე ტური. „ბევერენი“ — „მეჰელენი“ 1:3, „ლიერსი“ — „გენტი“ 0:1, „ლოკერენი“ — „სერკლი“ 2:1, „ვარეგემი“ — „სტანდარდი“ 1:1, „რესინგი“ — „სენტ ტრუდენი“ 3:0, „ანტვერპენი“ — „ბეერშოტი“ 4:0, „ბრიუგე“ — „ეკერენი“ 4:0, „ანდერლეჰტი“ — „შარლერუა“ 5:0.

„ბრიუგე“	22	46-18	35
„ანდერლეჰტი“	22	54-8	34
„მეჰელენი“	22	37-9	32

ჰოლანდია

23-ე ტური. „აიაქსი“ — „ეინდჰოვენი“ 3:2, „გრონინგენი“ — „ფეიენორდი“ 3:3, „როდა“ — „ვოლენდამი“ 2:1, „ჰაგა“ — „მაასტრიხტი“ 6:1, „დენ ბოში“ — „სიტარდი“ 1:1, „ტილბურგი“ — „უტრეჰტი“ 0:0, „ჰარლემი“ — „არნჰეიმი“ 0:2, „ნიემიგენი“ — „ვალვიკი“ 2:1.

„ეინდჰოვენი“	22	68-28	30
„არნჰეიმი“	23	38-18	30
„როდა“	23	37-26	30

ინგლისი

გამოტოვებული მატჩები. „ქოვენთრი“ — „მილუოლი“ 3:1, „ნოტინგემი“ — „ჩელსი“ 1:1, „შეფილდი“ — „არსენალი“ 1:0, „ტოტენჰემი“ — „ასტონ ვილა“ 0:2.

„ასტონ ვილა“	25	43-21	52
„ლივერპული“	26	50-26	50
„არსენალი“	24	38-25	42

საბერძნეთი

21-ე ტური. „ქსანტი“ — „ოლიმპიაკოსი“ 4:1, „არისი“ — „პანათინაიკოსი“ 1:4, „ვოლოსი“ — „პანიონისი“ 0:2, „ეთნიკოსი“ — „კალამარია“ 2:0, „ლევადიაკოსი“ — „პაოკი“ 1:1, „ლარისა“ — „აპოლონი“ 2:2, „იონიკოსი“ — „დოქსა“ 1:0.

„აეკი“	20	42-9	32
„პანათინაიკოსი“	21	42-18	32
„ოლიმპიაკოსი“	21	38-14	32

ავსტრია

23-ე ტური. „აუსტრია“ — „ზალცბურგი“ 1:0, „შტურმი“ — „ადმირა“ 0:0, „სენტ პოლტენი“ — „ტიროლი“ 0:0, „ვიენი“ — „რაპიდი“ 0:2.

„აუსტრია“	23	51-25	18
„ტიროლი“	23	44-21	18
„ადმირა“	23	58-38	16

(სპ. ინფ.).

ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირზე

პორტუგალიაში მიმდინარე ჭაბუკ ფეხბურთელთა (16 წლამდე) საერთაშორისო ტურნირზე სსრ კავშირის ნაკრებმა ბოლო შეხვედრა ანგარიშით 2:3 წააგო მასპინძელთა გუნდთან, სულ 2 ქულა დააგროვა და ბოლო ადგილი დაიკავა.

ტურნირში გამარჯვეს პორტუგალიელმა ფეხბურთელებმა (4 ქულა), მომდევნო ადგილებზე არიან გფრ-ისა და ისრაელის გუნდები.

„სპორტპროგნოზი“

ევროპის საფეხბურთო ტურნირების მეოთხედფინალური მატჩების საპასუხო შეხვედრებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის პროგრამა

(20-22 მარტი)

ჩემპიონთა თასი

1. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ბენფიკა“ (პორტუგალია), პირველი ტაიმი
2. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ბენფიკა“ (პორტუგალია), მეორე ტაიმი
3. „მარსელი“ (საფრანგეთი) — „სრედეცი“ (ბულგარეთი)
4. „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „ბაიერნი“ (გფრ)
5. „მილანი“ (იტალია) — „მეჰელენი“ (ბელგია)

თასების მფლობელთა თასი

6. „მონაკო“ (საფრანგეთი) — „ვალიადოლიდი“ (ესპანეთი)
7. „პარტიზანი“ (იუგოსლავია) — „დინამო“ (რუმინეთი)
8. „ადმირა-ვაკერი“ (ავსტრია) — „ანდერლეჰტი“ (ბელგია)
9. „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) — „სამპდორია“ (იტალია)

უეფა-ს თასი

10. „ოსერი“ (საფრანგეთი) — „ფეორენტინა“ (იტალია)
11. „ანტვერპენი“ (ბელგია) — „კიოლნი“ (გფრ)
12. „ვერდერი“ (გფრ) — „ლიეჟი“ (ბელგია)
13. „იუვენტუსი“ (იტალია) — „ჰამბურგი“ (გფრ)

შენიშვნა: 1. შედეგები განისაზღვრება მატჩის ძირითადი დროის შედეგის მიხედვით.

2. ბილეთის ტირაჟის ნომრის მიმანიშნებელ უჯრედში უნდა ჩაიწეროს „C-1“

3. შევსებული ბილეთები მიიღება „სპორტპროგნოზის“ მე-11 ტირაჟის ბილეთების მიღების ვადებში.

„სპორტპროგნოზი“, მე-10 ტირაჟის პროგრამა (9-11 მარტი)

სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)			**პროგნოზი**	
1. „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი) — ცსკა	9.III	40	30	30
2. „სოკოლი“ (კიევი) — „დინამო“ (მინსკი)	9.III	70	20	10
3. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი)	9.III	60	10	30
4. „ტორპედო“ (იაროსლავლი) — „დინამო“ (რიგა)	9.III	30	50	20
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
5. ცსკა — „დინამო“ (კიევი)	9.III	10	70	20
6. „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	9.III	20	40	40
7. „არარატი“ (ერევანი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი)	9.III	70	20	10
8. „დინამო“ (მოსკოვი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი)	9.III	40	50	10
9. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „უალგირისი“ (ვილნიუსი)	9.III	50	20	30
იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში				
10. „ატალანტა“ (ბერგამო) — „ლაციო“ (რომი)	11.III	20	70	10
11. „იუვენტუსი“ (ტურინი) — „მილანი“ (მილანი)	11.III	30	60	10
12. „რომა“ (რომი) — „სამპდორია“ (გენუა)	11.III	20	70	10
ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში				
13. „ატლეტიკო“ (ბილბაო) — „სევილია“ (სევილია)	11.III	20	70	10

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მარჯვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 64435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08743